პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 ივნისი, შაბათი, 1987
№ 119 (9530) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# დიდი სპორტისაკენ მიმავალ გზას გილოცავთ!





## ასპარეზობა საზეიმოდ გაიხსნა

გუშინ თბილისის განათლების სამმართველოს საცურაო აუზზე საზეიმოდ გაიხსნა სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული წყალბურთელთა ასპარეზობა. სპორტული ბაზა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა მოსწავლეთა დიდი ფორუმის წარმომადგენლებს, აუზის ტერიტორია ნაირფერი ალმებითა და ლოზუნგებით იყო მორთული. შეჯიბრების საზეიმო გახსნას დაესწრნენ თამაშების ჩატარების ხელმძღვანელობის საორგანიზაციო რესპუბლიკური კომიტეტის წევრები, საქართველოს სპორტსახკომის და განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები. გუშინვე გაიმართა ნორჩ წყალბურთელთა რამდენიმე შეხვედრა.



ეძღვნება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს

# სპორტული იმედების თამაშები

1917 1987 ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ УЧАЩИХСЯ СПОРТИВНЫХ ШКОЛ

**თბილისში**, 19 ივნისს, წყალბურთელთა ტურნირით დაიწყო სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები, რომელიც დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავს ეძღვნება.

სპორტის დანარჩენ 24 სახეობაში ასპარეზობები ივლისის მეორე ნახევარში დაიწყება და აგვისტოს პირველ დეკადამდე გასტანს. თამაშებს საქართველოს 12 ქალაქი უმასპინძლებს. ამ ახალ, კომპლექსურ შეჯიბრებათა ცენტრი რესპუბლიკის დედაქალაქი იქნება.

— თამაშების მიზანი მის დევიზში აისახა: „მასობრიობიდან — ოსტატობისაკენ“, — თქვა მთავარი მსაჯის მოადგილემ გერმან იაკოვლევმა. როგორც დებულებაშია აღნიშნული, შეჯიბრების მთავარი ამოცანაა, გააქტიურდეს სპორტული სკოლების მუშაობა, შემოწმდეს, როგორ აითვისეს მოსწავლეებმა საწვრთნელი პროგრამა, გამოვლინდნენ ყველაზე უფრო პერსპექტიულები ოსტატობის შემდგომი სრულყოფისათვის.

ნორჩი წყალბურთელები იმიტომ იწყებენ ასპარეზობას ყველაზე ადრე, რომ ივლისის ბოლოს მათ კონტინენტის პირველობაზე გამოსვლა მოელით, რომელიც ათენში ჩატარდება.

ასპარეზობებს 1200-მდე მსაჯი მოემსახურება. მსაჯთა კოლეგიას კრივში უხელმძღვანელებს მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული, ევროპის სამგზის ჩემპიონი ვლადიმერ ენგიბარიანი. ტანვარჯიშის მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობაში იქნება ოლიმპიური თამაშების მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ნელი კიმი, კლასიკურ ჭიდაობას იმსაჯებს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს ხუთ ჩემპიონატში გამარჯვებული ვალერი რეზანცევი.

თამაშების ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩხეიძე, მკაცრად აკონტროლებს დავალებათა შესრულების ვადებს, სისტემატურად ამოწმებს ჩატარებული სამუშაოების ხარისხს. ჩვენ ამაში თვალნათლივ დავრწმუნდით, როდესაც ადგილზე გავეცანით შეჯიბრებისათვის მზადების მსვლელობას.

მასპინძლებმა ფართო კულტურული პროგრამა შეიმუშავეს. ყოველ გუნდს ჰყავს თავისი შეფი. კეთდება ყველაფერი, რათა ნორჩ სპორტსმენთა ასპარეზობები ახალგაზრდობისა და მეგობრობის ნამდვილ დღესასწაულად იქცეს. (საკდესი).



# პირველი სტარტი, პირველი მღელვარება

## საქართველო (ნაკრები) — პროფკავშირები-2 (სსრ კავშირის ნაკრები).

ამ შეხვედრას ყველა განსაკუთრებული ინტერესით მოელოდა. ორივე ნაკრებმა ძალიან ფრთხილად დაიწყო თამაში, თუმცა პირველი სერიოზული შეტევა ჩვენმა გუნდმა განახორციელა. მეტოქემ ეს შეტევა წესების დარღვევით შეაჩერა და ქართველმა ჭაბუკებმა ოთხმეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება მიიღეს, რაც, სამწუხაროდ, გოლით არ დაგვირგვინებულა. იმავე წუთს ოთხმეტრიანი საჯარიმო ჩვენს კარში დაინიშნა — 1:0. საქართველოს ნაკრებმა ეს გოლი მალე გაქვითა (დავითიანი). ეს ანგარიში უცვლელი დარჩა მეორე პერიოდის მიწურულამდე. და აი, დავითიანმა მეორედ აიღო მეტოქის კარი — 2:1. მესამე პერიოდში ჩვენი გუნდი უკეთ თამაშობდა, მაგრამ

იხ. მე-2 გვ.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში

# გასამდა

**როგორც** ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, ტყვიის მსროლელთა საკავშირო ჩემპიონატში თბილისელმა ნინო სალუქვაძემ მესამე ოქროს მედალი მოიპოვა. მიტიშჩის ოლიმპიურ სასროლეთზე 19 წლის ქართველ ქალიშვილს მაყურებლებმა და სპორტსმენებმა მხურვალე ოვაცია გაუმართეს.

ერთ და თანაც ასეთ ავტორიტეტულ ჩემპიონატში სამი ოქროს მედლის მოპოვება, მართლაც დიდი წარმატებაა და სპორტსმენის მაღალ ოსტატობაზე მიგვანიშნებს. განსაკუთრებით დიდი უპირატესობით მოიგო ნინომ მესამე ოქროს მედალი მცირეკალიბრიანი პისტოლეტის (3X20) სროლაში. მისი მთავარი მეტოქეები ამ სახეობაში არმიელი თანაკლუბელი ტ. ტურიშჩევა და დინამოელი ე. ტორკინა იყვნენ.

სროლა სამივე მონაწილემ დიდი გეგმებითა და იმედებით დაიწყო. მაგრამ სულ მალე გამოიკვეთა სალუქვაძის უპირატესობა, რომელიც უფრო მობილიზებული და საბრძოლოდ შემართული იყო. ნინომ 575 ქულა დააგროვა, ტორკინამ — 6-ით ნაკლები, ტურიშჩევას კი საბოლოო ჯამში 567 ქულა აღმოაჩნდა. ამ დღის სხვა შეჯიბრებათა ოქმებს რომ გადახედოთ, ასეთ დამაჯერებელ უპირატესობას ვერც ერთში ვერ აღმოაჩენთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველი მსროლელი მეტოქეებს აშკარად სჯობდა. თუმცა, სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. მოსკოვში მოპოვებული ჩემპიონის სამი ოქროს მედალი იმის უტყუარი დასტურია, რომ ნინო წლეულს საუცხოო სპორტულ ფორმაშია და თავის სათქმელს ევროპის მომავალ ჩემპიონატშიც იტყვის.

### საქართველოს სპორტსახკომში

კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის სპორტ-ტექნიკური კომისიის გადაწყვეტილებით თბილისის „სინათლის“ წევრი ზ. ლონლაძე მოედანზე არაერთგზის უდისციპლინობისთვის დისკვალიფიცირებული იყო. მაგრამ მოხდა გაუგებრობა და ლონლაძე ამის შემდეგ გუნდის შემადგენლობაში სათამაშოდ ისევ გამოვიდა.

საქართველოს სპორტსახკომის გადაწყვეტილებით, სპორტთამაშების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელ დ. კილასონიას, რომელმაც დებულების საწინააღმდეგოდ ზ. ლონლაძე დაუშვა სათამაშოდ, გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, ამავე დროს სამმართველო და შესაბამისი განყოფილება გაფრთხილებულ იქნა, რომ მომავალში მტკიცედ დაიცვან დებულების ყველა პუნქტი („სინათლის“ მიერ ჩატარებული შეხვედრების შედეგები არ გაუქმდება).

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

#### რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომი.

გაზეთ „ლელოს“ 1987 წლის 11 ივნისის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიაც საუბარი იყო მიმდინარე წლის 31 მაისს მახარაძის რაიონის სოფ. დვაბზუს სტადიონზე მეორე ჯგუფის გუნდების საქართველოს ჩემპიონატის კალენდარული მატჩის დროს მომხდარი აღმაშფოთებელი ინციდენტის შესახებ. საქართველოს კპ მახარაძის რაიკომმა ბიუროს სხდომაზე იმსჯელა დვაბზუს სტადიონზე ფეხბურთის მატჩის დროს მომხდარი ფაქტის შესახებ. სხდომაზე ხაზი გაესვა იმას, რომ მართალია, მატჩის ჩაშლა სტუმრების — ჩოხატაურელი ფეხბურთელების მიზეზით მოხდა, მაგრამ ინციდენტს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ დვაბზუს სტადიონზე სათანადო პირობები არ იყო შექმნილი წესრიგის დამყარებისა და მატჩის ნორმალურ ვითარებაში ჩატარებისთვის. მატჩს არ ესწრებოდა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკი.

რაიკომის ბიუროს დადგენილებით, იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყვეს საქართველოს პირველობის კალენდარული მატჩის ჩატარებისათვის ნორმალური პირობების შექმნა, გამოიჩინეს უგულისყურობა და მატჩის თაობაზე არ აცნობეს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას, დვაბზუს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ლლონტს გამოეცხადა საყვედური, ხოლო დვაბზუს კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს თ. მახარაძეს მიეთითა.

ცნობად იქნა მიღებული, რომ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ თავმჯდომარეს თ. კილაძეს არ მიეცა რეკომენდაცია ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარის არჩევნებისას.

ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტს (თავმჯდომარე მ. სიორიძე) დაევალა უმოკლეს ვადაში განიხილოს „დვაბზუს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსის თ. სკამკოჩაიშვილისა და უფროსი მწვრთნელის გ. მახარაძის ამ თანამდებობებზე შემდგომი მუშაობის მიზანშეწონილობის საკითხი.

ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტს, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას, დვაბზუს სასოფლო საბჭოს აღმასკომს დაევალათ გადამჭრელი ღონისძიებანი განახორციელონ რესპუბლიკური ჩემპიონატის მაღალორგანიზებულ დონეზე ჩასატარებლად. კალენდარული მატჩების დროს უზრუნველყონ რაიონის სტადიონებზე სანიმუშო წესრიგის დამყარება.

**თ. კუნჭულია,**
საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის მდივანი.

რეგბი

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

გუშინწინ მონინოში გაიმართა უმაღლესი ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მეთოთხმეტე ტურის მატჩი. ჩვენი ქვეყნის ცხრაგზის ჩემპიონმა, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა უმასპინძლა თბილისის „შევარდენს“. შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 9:4.

# ძიუდოისტ ქალთა მედლები

**ამ** დღეებში მინსკში ჩატარდა ბელორუსიის ღია ჩემპიონატი ძიუდოისტ ქალთა შორის. მასპინძლებთან ერთად ტატამზე გამოვიდნენ საქართველოს, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის სპორტსმენები. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას დინამოელი ძიუდოისტები იცავდნენ (მწვრთნელები — გოდერძი ველიჯანაშვილი, ლელა ნებიერიძე და დავით მარტყოფლიშვილი). 56 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო ია ზღულაძე, რომელმაც ოთხივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. მესამე ადგილები დაიკავეს რუსუდან კუპატაძემ (48 კგ), ქეთევან ჩართოლანმა (56 კგ) და მანანა ბენაშვილმა (61 კგ).

ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა. საუკეთესო ტექნიკისთვის სპეციალური პრიზი გადაეცა ია ზღულაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა
სახ. სახ. რესპ. ბიბლიოთეკა

# დიდი სპორტისკენ მიმავალ გზას გილოცავთ!

**სპორტული სკოლის მოსწავლეთა საკავშირო თამაშები • წყალბურთი**

## პირველი სტარტი, პირველი მღელვარება

(დასასრული)

რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. მხოლოდ პატარიძემ დააგვირგვინა გოლით ერთ-ერთი სახიფათო შეტევა. ეს მოხდა მე-4 წუთზე, ორი წუთის შე-



პირველი გოლი მეტოქეთა კარში.

მდეგ, როცა ის-ის იყო პერიოდი უნდა დამთავრებულიყო, შიშკინმა ერთი გოლი გაქვითა — 3:2. შეჯიბრების ბოლო მონაკვეთი მასპინძლების აშკარა აქტიურობით დაიწყო. გონაძემ პირველსავე წუთზე მოახერხა მეოთხე გოლის გატანა, რასაც სულ მალე კუზნეცოვმა საპასუხო ბურთით უპასუხა — 4:3. ამ მომენტიდან ინიციატივას სტუმრები დაეუფლნენ, ჯერ რატანოვმა გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ შიშკინმა მეხუთედ აიძულა მასპინძლები, თამაში ცენტრიდან დაეწყოთ. ასე რომ, მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე პირველად დაწინაურდნენ სტუმრები (შიშკინი). ძალზე დაძაბულ ბრძოლაში კვლავ დავითიანმა მოახერხა ბურთის გატანა — 5:5. მეტოქეებს თამაშის მიწურულს ჰქონდათ დაწინაურების შესაძლებლობა, მაგრამ ვერ გამოიყენეს.

შემადგენლობები:

**საქართველოს ნაკრები:** გ. გზირიშვილი, გ. გონაძე, ო. პატარიძე, გ. მახარაძე, ი. ტატიშვილი, გ. ბეჟანიშვილი, დ. ბურდული, ვ. ჩითინაშვილი, ზ. დავითიანი, გ. გრიგოლია, ბ. ცხვედაძე, ს. გობიჩევი (უფროსი მწვრთნელი გ. ხუროშვილი, მწვრთნელი ჯ. კინწურაშვილი).

**პროფკავშირების ნაკრები-2:** ა. შეპელოვი, ა. ოფიცეროვი, ა. რატანოვი, ა. კუტუზოვი, კ. ბუშუევი, ო. შიშკინი, დ. ჩისტიაკოვი, დ. რადკოვიჩი, გ. კუზნეცოვი, ნ. კოსცოვი (უფროსი მწვრთნელი ვ. ფედოროვი, მწვრთნელი ა. მუკრუშინი).



თამაშობენ დასავლეთი ზონისა (სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ნაკრები) და უკრაინის (განათლების სამინისტროს ნაკრები) გუნდები.



სარბიელზე არიან საქართველოს ნაკრები — პროფკავშირები-2 (სსრ კავშირის ნაკრები) გუნდები.

## მატჩის შემდეგ

ექსპრესკომენტარი. ვლადიმერ საფრონოვი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი. სსრ კავშირის სპორტსახკომის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელი: თამაში ძალიან დაძაბული გამოდგა. აშკარად იგრძნობოდა ორივე გუნდის სასტარტო მღელვარება. ჩემი აზრით, მეტოქეებმა ამიტომაც ვერ შეძლეს თავიანთი შესაძლებლობების მთლიანად გამოვლენა. ბევრი იყო ტექნიკური წუნი. ახეთი დიდი და საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის, თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქმე გვაქვს 16 წლამდე ასაკის მოზარდებთან, ამგვარი მღელვარება ბუნებრივია. საბოლოო ანგარიში, ვფიქრობ, რეალურად გამოხატავს ორივე გუნდის შესაძლებლობებს. ჩემზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს გონაძემ და ბურდულმა. დავითიანი შესანიშნავი წყალბურთელია, მაგრამ ამ მატჩში იგი თავის ამპლუაში არ გამოდიოდა და ამიტომ უკეთესად ვერ ითამაშა, თუმცა ბურთები კი გაიტანა. პროფკავშირების ნაკრებში ყურადღება მიიპყრეს რატანოვმა და შიშკინმა.

## და... კულტურული ღონისძიებები

სტუმრების ირგვლივ მუდამ ხალხმრავლობაა. ესენი მასპინძლები — საქართველოს სპორტსახკომის, განათლების სამინისტროს, პროფკავშირული, კომკავშირული, სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების, საშეფო ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ სტუმრებმა თავი ისე იგრძნონ, როგორც შინ და სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. მათ ასპარეზობისა და დასვენებისთვის საუკეთესო პირობებს უქმნიან.

შეფები გუნდებს მრავალფეროვან ღონისძიებებს სთავაზობენ, რომელთაგან სტუმრები თავად ირჩევენ, რისი ნახვა და სად წასვლა სურთ. გადაწყდა: თავისუფალ დროს სტუმრები დაათვალიერებენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ეწვევიან მცხეთას და კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს, დაესწრებიან ახალგაზრდული თეატრის სპექტაკლს...

## სხვა შეხვედრები

19 ივნისი. თბილისი. თბილისის განათლების სამმართველოს საცურაო აუზი.

სამხრეთი ზონა (სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ნაკრები) — „შრომითი რეზერვები" — 13:5 (5:2, 4:1, 1:1, 3:1). მსაჯები: ი. სანაძე (თბილისი), ვ. ოსადინი (ვოლგოგრადი). ორივე რესპუბლიკური კატეგორია.

პროფკავშირები-1 (სსრ კავშირის ნაკრები) — რსფსრ (განათლების სამინისტროს ნაკრები) — 4:5 (0:0, 0:3, 2:1, 2:1). მსაჯები: ვ. ნაჯაფოვი (ბაქო, რესპუბლიკური კატეგორია), ვ. ხრომოვი (ხარკოვი, საკავშირო კატეგორია).

დასავლეთი ზონა (სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ნაკრები) — უკრაინა (განათლების სამინისტროს ნაკრები) — 5:7 (1:2, 2:1, 2:3, 0:1). მსაჯები: ს. კოროლიოვი (ალმა-ათა, რესპუბლიკური კატეგორია), ვ. პროიზვოლოვი (მოსკოვი, საკავშირო კატეგორია).

## ასპარეზობის დაწყებამდე

უშუალოდ წყალბურთში შეჯიბრების დაწყებამდე გუნდებმა ჩააბარეს ნორმატივები საერთო ფიზიკურ მომზადებაში როგორც წყალზე, ისე ხმელეთზე. ჩვენმა გუნდმა კარგი მომზადება გამოავლინა. მსაჯთა კოლეგია შედეგებს დღეს გამოაცხადებს.

## 20 ივნისი, დღე მეორე

**შეხვედრების გრაფიკი**

10 ს. უკრაინა (განათლების სამინისტროს ნაკრები) — საქართველო (ნაკრები);

11 ს. დასავლეთი ზონა (სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ნაკრები) — „დინამო";

12 ს. „შრომითი რეზერვები" — რსფსრ (განათლების სამინისტროს ნაკრები);

13 ს. სამხრეთი ზონა (სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ნაკრები) — საბჭოთა არმია.





## ახლებურად ჩატარდება

4-7 სექტემბერს გეგეჭკორში გაიმართება ლელობურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ის ოთხი კოლექტივი, რომელიც ზონალურ ტურნირებში გამოიჩენს თავს.

ამას წინათ გორში გაიმართა პირველი ზონალური შეჯიბრება. საასპარეზოდ შეიკრიბნენ სამტრედიის, თელავის, გეგეჭკორისა და გორის ლელობურთელთა გუნდები. ფინალის საგზურები მოიპოვეს გეგეჭკორის რაიონისა და გორის კოლექტივებმა.

გუშინ ჩოხატაურში დაიწყო მეორე ზონალური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქუთაისის, ზუგდიდის, მახარაძის, აჭარისა და ჩოხატაურის გუნდები. აქაც ორი „საგზური იქნაწილდება". სხვათა შორის, წელს ფინალური ტურნირი ახლებურად ჩატარდება: ორი საუკეთესო კოლექტივი გამართავს სუპერფინალურ მატჩს. ეს მატჩი მოეწყობა თბილისში, თბილისობის დღესასწაულის დღეს.

**საკავშირო ჩემპიონატი წყალბურთში • II წრე**

## ახალგაზრდებმა იმედი გაამართლეს

თბილისი. ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი. „დინამო" (თბილისი) — კჩფ (სევასტოპოლი) 12:6 (3:2, 2:1, 2:1, 5:2).

„დინამო": მიხეილ გიორგაძე, ზუმბულიძე, გვახარია, კუტივაძე, ნიკოლაიშვილი, კოლუაშვილი, რამიშვილი; ტუკვაძე, მიხეილ გიორგაძე, ბალათურია, ბითაძე, კანდელაკი, მაჭავარიანი.

კჩფ: ვლადიმიროვი, გუსევი, ვულფი, პონომარენკო, კებალო, კრივენჩუკი, გორბაჩი; კაჩალოვი, სკაჩკოვი, ზაბროდკინი, ტიშჩენკო, ხალჩიცკი.

ამ გუნდების შეხვედრის წინ სპორტის ოსტატის მოწმობები და სამკერდე ნიშნები საზეიმო ვითარებაში გადასცეს თბილისელ წყალბურთელებს ალექსანდრე ბითაძეს, დიმიტრი რამიშვილს, გიორგაძეს (უმცროსი), ნოდარ ჩოლარიას, მამუკა კერესელიძესა და გიორგი გობეჯიშვილს. მათ ეს წოდებები შარშან ჩვენი ქვეყნის ხალხთა საკავშირო სპარტაკიადაზე ვერცხლის მედლების მოპოვებისთვის დაიმსახურეს. ამ ექვსეულიდან ბითაძემ, რამიშვილმა და გიორგაძემ თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდში დაიმკვიდრა ადგილი. მათ არაერთხელ გამოუჩენიათ თავი, მაგრამ სევასტოპოლელ წყალბურთელებთან მატჩის წინ თბილისელთა დაჯილდოება თითქოს ერთგვარი სიმბოლური გამოწვევაც იყო ამ ახალგაზრდა წყალბურთელთა ოსტატობის დასამტკიცებლად.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სამივემ გაამართლა იმედი. გიორგაძე დაცვაში შეუვალი იყო, ხოლო რამიშვილმა და ბითაძემ სპარტაკიადაზე მოპოვებული საუკეთესო ბომბარდირის ავტორიტეტი დაამტკიცეს. რამიშვილმა საკავშირო ჩემპიონატების მატჩებზე, სევასტოპოლელებთან შეხვედრაში, რეკორდული რაოდენობის ბურთები გაიტანა — 6. ბითაძემ, ჩვენი აზრით, საკავშირო ჩემპიონატებში ახლა თავისი საუკეთესო ან ერთ-ერთი საუკეთესო თამაში აჩვენა და მეტოქის კარი 3-ჯერ დალაშქრა (მათ გარდა ბურთები გაიტანეს კუტივაძემ (2) და ბალათურიამ).

როგორც ჩანს, საკავშირო ჩემპიონატში ორთვენახევარი შესვენება ჩვენს გუნდს უქმად არ დაუკარგავს. გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეებმა ახლა გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს. პირველ წრეში თუ ახალგაზრდებს ნაკლებად აწვებოდათ შეხვედრის სიმძიმე, ახლა მწვრთნელი მათ თამამად ანდობდა მატჩის ბედს.

საინტერესოა, რომ პირველ წრეში კჩფ-სთან ჩვენმა წყალბურთელებმა მართალია დამაჯერებლად გაიმარჯვეს, მაგრამ ეს მაშინ ანგარიშში ნათლად ვერ გამოიხატა. შეხვედრის ბოლო პერიოდში, როცა თბილისელები 4 ბურთით იგებდნენ შეხვედრას, მწვრთნელებმა სარბიელზე ძირითადად ახალგაზრდები დატოვეს. მეტოქემ ამით ისარგებლა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. ახლა კი, როგორც ვნახეთ, ახალგაზრდებმა გამოცდილ თანაგუნდელებს ტოლი არ დაუდეს.

ის. მე-4 გვ.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი 50

**17 და 18 ივნისს** გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XIV ტურის მატჩები. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები განვლილ და მომავალ ტურში მოსკოვში გამოდიან, ამასთან დაკავშირებით „ლელომ“ დედაქალაქში მიავლინა თავისი სპეციალური კორესპონდენტი **ზურაბ ფოცხვერია**, რომელმაც გადმოგვცა თბილისის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ შეხვედრათა საანგარიშო წერილები.

**ცსკა — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:0.**

**მოსკოვი. „დინამოს“ სტადიონი. 17 ივნისი.**

**ცსკა:** ჩანოვი, კუზნეცოვი, შმატოვალენკო, კოლოტოვკინი, ფოკინი, გალიამინი, ჰუსეინოვი, ბისტროვი, მედვიდი, ვედენეევი (კორნეევი, 35), კოლესნიკოვი (მალიუკოვი, 75).

**„გურია“:** იმნაძე, დანელია, მახარაძე, ე. თევზაძე, არზიანი, ხლუსი (აკოფიანი, 75), კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, მეგრელაძე, ფრიდონაშვილი, ა. კაპანაძე (მ. თევზაძე, 46).

**მსაჯი — პ. კობიჩიკი (ჩერნოვცი).**

**გააფრთხილეს კორნეევი.**

**დუბლიორები — 3:2. ლანჩხუთელთაგან ორივე ბურთი გაიტანა გოგიჩაიშვილმა.**

შარშან I ლიგაში გამარჯვებული გუნდების თამაშის სანახავად მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე 12 ათასზე მეტი მაყურებელი მოვიდა, რომლებმაც მეტად შინაარსიანი, დაძაბული თამაში იხილეს. მართალია, 90 წუთის მანძილზე ბურთი ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიტანა, მაგრამ მატჩი ტემპიანად, სანახაობრივად საინტერესოდ მიმდინარეობდა.

თამაშის დასაწყისში სტუმრები ფრთხილობდნენ და მეტოქის სუსტ ადგილებს ეძებდნენ. ცსკა-მ ამით ისარგებლა, პირველი ათიოდე წუთის მანძილზე საკმაოდ სახიფათო შეტევები განავითარა, მაგრამ შემდგომში მდგომარეობა თანდათან შეიცვალა, ლანჩხუთელები სულ უფრო და უფრო ენერგიულად, აქტიურად მოქმედებდნენ, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ფრიდონაშვილი, კოპალეიშვილი, მეგრელაძე და სხვანი. ტაიმის დასასრულისთვის „გურიას“ კარის აღების უფრო მეტი ხელსაყრელი მდგომარეობა ჰქონდა, ვიდრე არმიელებს.

ეს მატჩი, როგორც იცით, ფრედ დამთავრდა, ლანჩხუთელთა ერთი ქულაც, წინა ტურებში განცდილ წარუმატებლობათა შემდეგ, თითქოს, აქტივად უნდა ჩავთვალოთ, მაგრამ თუ ამ მატჩის პერიპეტიებს გავითვალისწინებთ, ჩვენს გუნდს მეტიც შეეძლო, იგი გამარჯვების ღირსი იყო. კვლავ და კვლავ გამოირჩეოდა შეტევაში ფრიდონაშვილი, მას ენერგიულად უბამდნენ მხარს პარტნიორები, ცსკა-ს კართან ზედიზედ შეიქმნა რამდენიმე მომენტი, რომლებიც გოლით უნდა დამთავრებულიყო და დასანანია, რომ ეს ასე არ მოხდა. ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს, მაგრამ მხოლოდ ერთ ქულას დასჯერდნენ. თუმცა, ვიმეორებთ, მათ აშკარად შეეძლოთ თამაშის მოგება.

**„დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 0:1 (0:0).**

**მოსკოვი. „დინამოს“ სტადიონი. 18 ივნისი.**

**მოსკოვი:** უვაროვი, ლოსევი, პოზდნიაკოვი, ნოვიკოვი, სილკინი, მოროზოვი, დემიდოვი (კარატაევი, 46), ვასილიევი (სკლიაროვი, 54), კოლივანოვი, დობროვოლსკი, ბოროდიუკი.

**თბილისი:** გაბელია, ცვეიბა, ჩივაძე, ჰედია, კუდინოვი, გოგრიჭიანი, სვანაძე, სულაქველიძე, ჟვანია (შენგელია, 55), კორღალიძე, ქეცბაია (ფანცულაია, 67).

**მსაჯი რ. იუშკა (ვილნიუსი).**

**გააფრთხილეს კორღალიძე.**

**დუბლიორები — 4:1. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ცაავამ.**

თანაკლუბელებმა სულ ახლახან ითამაშეს თბილისში და ოთხი დღის შემდეგ მოსკოვში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ეს ის შემთხვევაა, როცა ჯერ კიდევ პირველი წრე არ დამთავრებულა, გუნდებს კი მეორე წრის „ანგარიშის“ გასწორება უხდებათ ერთმანეთთან.

ასეა თუ ისე, ამ გუნდების შეხვედრები ერთმანეთთან ყოველთვის საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობს. ასე იყო ამჯერადაც, მაგრამ ჩვენ, თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრებს საგანგებო მოვლენად მიგვაჩნია გამარჯვება მეტოქის მინდორზე. გამარჯვება იმ გუნდთან, რომელიც წლების მანძილზე ტრადიციულად ჩვენი ყველაზე საშიში და მრისხანე მეტოქეა, რა თქმა უნდა, დინამოელთა ქომაგების უმეტესობა, ალბათ, ახალ წარუმატებლობას ელოდა, მაგრამ ჩვენმა გუნდმა ამ მატჩში ნამდვილი საბრძოლო განწყობილება, გამარჯვებისადმი სწრაფვა გამოიჩინა, თავგამოდებით იბრძოლა და ის გამარჯვება მოიპოვა, რომელიც ესოდენ საჭიროა სადღეისოდ შექმნილ რთულ ვითარებაში. შორს წასული დასკვნებისგან თავს შევიკავებთ, ვინაიდან დინამოელებს მთავარი მოვლენები წინ აქვთ, მაგრამ ის კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 18 ივნისს საბრძოლო თვისებებითაც, ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადებითაც ისინი მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. გამარჯვება ისეთ მეტოქესთან, როგორიც მოსკოვის „დინამოა“, თავისთავად არ მოდის, თბილისელებმა ეს ორი ქულა ღირსეულად მოიპოვეს.

მოსკოველები პირველ ტაიმში ბევრს ეცადნენ თავს მოეხვიათ მეტოქისთვის საკუთარი თამაში და იმთავითვე მიეღწიათ წარმატებისთვის, მაგრამ სტუმრებმა ორგანიზებულად, აზრიანად ითამაშეს და შეინარჩუნეს კარის უხიფათობა.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა გარკვეული კორექტივები შეიტანეს თავიანთ თამაშში, მინდორზე გამოსულმა შენგელიამ სიმწვავე შემატა შეტევებს, მოსკოველთა კართან ზედიზედ შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი. 66-ე წუთზე ჰედია სწრაფად გავიდა მარჯვენა ფლანგზე, კარგად ჩააწოდა ცენტრში და კორღალიძემ თავით ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში — 1:0.

დარჩენილ დროში მოსკოველებს ცდა არ დაუკლიათ თავი ეხსნათ დამარცხებისგან, მაგრამ ეს ვერ შეძლეს და თბილისის „დინამომ“ შეინარჩუნა გამარჯვება და მეტად საჭირო ორი ქულა ჩაიწერა თავის აქტივში.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები:

**„დნეპრი“ — „არარატი“ 2:0.**
**„შახტიორი“ — „ნეფთჩი“ 1:0.**
**„ქაირათი“ — „მეტალისტი“ 1:0.**
**„ზენიტი“ — „ტორპედო“ 0:3.**
**„დინამო“ მნ. — „სპარტაკი“ 0:0.**
**„დინამო“ კ. — „ჟალგირისი“ 3:1.**

## ციტატა

**გაზეთმა** „ლაპარაკობს და უჩვენებს მოსკოვი“ ა. წ. 10 ივნისის ნომერში გამოაქვეყნა პ. ალიოშინის მიმოხილვა საფეხბურთო თემაზე. წერილში საუბარია მინსკისა და თბილისის „დინამოზე“, ვილნიუსის „ჟალგირისზე“, ამ გუნდების მაჩვენებლებზე წლევანდელ, 50-ე ჩემპიონატში. გთავაზობთ ციტატას, რომელიც თბილისის „დინამოს“ ეხება:

**„რთულ მდგომარეობაშია ახლა თბილისის „დინამო“. ახლოვდება ტურნირის ეკვატორი, ამ პოპულარულმა კლუბმა კი ვერაფრით ვერ შეძლო სატურნირო ცხრილის ბოლოდან თავის დაღწევა. მიუხედავად ამისა, თბილისელთა ერთ-ერთი პირველი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსეი სოკოლოვი, რომელიც გუნდს 1937-1944 წლებში ხელმძღვანელობდა, ოპტიმისტურადაა განწყობილი: „ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თბილისელები სულ მალე მოიკრებენ ძალას და დაუოკებელი ნახტომით დატოვებენ აუტსაიდერის პოზიციას. გუნდს ხომ უმდიდრესი რეზერვი გააჩნია, მას ბევრი საინტერესო, ნიჭიერი ახალგაზრდა ჰყავს, ალბათ, არც ერთი რესპუბლიკა არ არის უზრუნველყოფილი კვალიფიციურ მწვრთნელთა კადრებით ისე, როგორც საქართველო. რა თქმა უნდა, თაობათა ცვლა ისეთივე მტკივნეულია თბილისის „დინამოსთვის“, როგორც ნებისმიერი სხვა გუნდისთვის, მაგრამ რეზერვები არის და მათ თავი უნდა იჩინონ. მე მჯერა თბილისის „დინამოსი“.**

## გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი** — **მდგომარეობა 20 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 14 | 7 | 6 | 1 | 21-10 | 20 | (—8) |
| 2. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 14 | 6 | 6 | 2 | 14-7 | 18 | (—10) |
| 3. „დინამო“ (მინსკი) | 14 | 6 | 5 | 3 | 14-7 | 17 | (—11) |
| 4. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 14 | 6 | 4 | 4 | 17-9 | 16 | (—12) |
| 5. „შახტიორი“ (დონეცკი) | 14 | 5 | 6 | 3 | 13-10 | 16 | (—12) |
| 6. „არარატი“ (ერევანი) | 14 | 7 | 1 | 6 | 14-18 | 15 | (—13) |
| 7. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 14 | 5 | 4 | 5 | 15-15 | 14 | (—14) |
| 8. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 14 | 5 | 4 | 5 | 10-11 | 14 | (—14) |
| 9. „დინამო“ (კიევი) | 11 | 5 | 3 | 3 | 19-10 | 13 | (—9) |
| 10. „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 14 | 5 | 2 | 7 | 10-15 | 12 | (—16) |
| 11. ცსკა | 14 | 4 | 4 | 6 | 13-16 | 12 | (—16) |
| 12. „დინამო“ (თბილისი) | 14 | 4 | 4 | 6 | 11-16 | 12 | (—16) |
| 13. „დინამო“ (მოსკოვი) | 14 | 3 | 5 | 6 | 9-14 | 11 | (—17) |
| 14. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 14 | 3 | 5 | 6 | 9-19 | 11 | (—17) |
| 15. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 14 | 3 | 4 | 7 | 12-17 | 10 | (—18) |
| 16. „გურია“ (ლანჩხუთი) | 13 | 2 | 5 | 6 | 7-14 | 9 | (—17) |

## I ლიგა.

**18 ივნისს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XVII ტურის შეხვედრები. საქართველოს ორივე გუნდმა სტუმრად ითამაშა.

ბათუმის დინამოელებმა ლიგის ერთ-ერთ ლიდერ ნიკოპოლის „კოლოსთან“ ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 1:1.

მარცხი განიცადა ქუთაისის „ტორპედომ“. ავტოქარხნელებმა ზაპოროჟიეში ანგარიშით 0:4 წააგეს „მეტალურგთან“.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 3:0, „დინამო“ (სტავროპოლი)— „კოტაიკი“ (აბოვიანი) 2:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:0, „დაუგავა“ (რიგა) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 4:0, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 2:2, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 0:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 2:1.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 20 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომორ.“ | 15 | 12 | 3 | 0 | 26-5 | 27 |
| „დაუგავა“ | 15 | 9 | 3 | 3 | 24-12 | 21 |
| „კოლოსი“ | 17 | 9 | 3 | 5 | 23-16 | 21 |
| „ლოკომოტ.“ | 16 | 7 | 7 | 2 | 17-9 | 21 |
| „როსტსელ.“ | 16 | 8 | 3 | 5 | 24-17 | 19 |
| „შინიკი“ | 16 | 7 | 4 | 5 | 12-12 | 18 |
| „კუზბასი“ | 17 | 6 | 6 | 5 | 15-10 | 18 |
| „გეოლოგი“ | 16 | 6 | 5 | 5 | 17-11 | 17 |
| ასკ რ. | 16 | 7 | 2 | 7 | 13-18 | 16 |
| „ფახთაქ.“ | 16 | 6 | 4 | 6 | 17-18 | 16 |
| „დინ.“ სტ. | 16 | 6 | 4 | 6 | 16-21 | 16 |
| „პამირი“ | 16 | 5 | 5 | 6 | 18-17 | 15 |
| „სპარტაკი“ | 16 | 5 | 5 | 6 | 11-14 | 15 |
| ასკ „კარპ.“ | 16 | 4 | 6 | 6 | 16-19 | 14 |
| „მეტალურ.“ | 16 | 5 | 4 | 7 | 19-18 | 14 |
| „ზარია“ | 15 | 4 | 5 | 6 | 15-20 | 13 |
| „ფაკელი“ | 17 | 4 | 5 | 8 | 11-17 | 13 |
| „ტორ.“ ქ. | 16 | 4 | 5 | 7 | 11-18 | 13 |
| „კოტაიკი“ | 16 | 5 | 2 | 9 | 18-24 | 12 |
| „როტორი“ | 17 | 5 | 2 | 10 | 19-28 | 12 |
| „დინამო“ ბ. | 16 | 4 | 4 | 8 | 9-18 | 12 |
| „კრ. სოვეტ.“ | 15 | 3 | 3 | 9 | 11-20 | 9 |

## II ლიგა

**18 ივნისს შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XIV ტურის შეხვედრები.**

თბილისის „შევარდენი“-სპი-ს სრული უპირატესობით წარიმართა თამაში ლენინაკანის „ოლიმპიასთან“. სტუმრებმა ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მასპინძლებს, პირველი 45 წუთის განმავლობაში თბილისელები ყველა რგოლში აშკარად ჯობნიდნენ მეტოქეს და „ოლიმპიის“ კარშიც თითქმის ზედიზედ გადიოდა გოლები. პირველად ეს მე-4 წუთზე გააკეთა ქობელაშვილმა, შემდეგ — ბაკურაძემ, ცხოვრებაშვილმა, ტაიმის დასასრულს კი ჯერ ქობულაძემ და მერე ქობელაშვილმა ანგარიში 5:0-მდე აიყვანეს.

მხოლოდ შესვენების შემდეგ შეეცადნენ ლენინაკანელები მდგომარეობა გამოესწორებინათ, მაგრამ მატჩის ბედი, ფაქტიურად, გადაწყვეტილი იყო. თბილისელებმა კიდევ რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს და საბოლოოდ ანგარიშით 5:0 შეინარჩუნეს გამარჯვება.

ჩვენი ფოთელი კორესპონდენტი **ამირან ლომაია** ადგილობრივი „კოლხეთისა“ და აშხაბადის „კოლხოზჩის“ შეხვედრის შესახებ გვატყობინებს:

**ფოთელებმა თავიანთ შესაძლებლობაზე აშკარად სუსტად ჩაატარეს პირველი ტაიმი. მინდორზე არ ჩანდა კოლექტივი, ცალკეული მოთამაშეები პასიურობდნენ, დაბალი იყო თამაშის ტემპიც. „კოლხოზჩიმ“ ამით ისარგებლა და შესვენებისთვის დაწინაურდა ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა გელევანოვმა.**

**სრულიად საწინააღმდეგო სურათი იყო მინდორზე შესვენების შემდეგ. ფოთელები აქტიურად ამოძრავდნენ, მოიმატა ტემპმა, საერთო მონდომებამ და ეს 45 წუთი მთლიანად აშხაბადელთა ნახევარზე მიმდინარეობდა, ანგარიში 58-ე წუთზე გაათანაბრა შეჩუკმა, შემდეგ გიორგაძის გარღვევა შორეული ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა — 2:1, მატჩის დასასრულს კი აშხაბადელთა ერთ-ერთმა მცველმა საჯარიმო მოედანზე ხელით ითამაშა, რისთვისაც 11-მეტრიანი დაინიშნა. დარტყმა ზუსტად შეასრულა შეჩუკმა — 3:1.**

ტყიბულში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეშახტე“ და სტეფანაკერტის „ყარაბახი“. ჩვენი ტყიბულელი კორესპონდენტი **ელგუჯა ბაქრაძე** ტელეფონით გვატყობინებს:

**ტყიბულელ ფეხბურთელთა წინაშე მეტად რთული, საპასუხისმგებლო ამოცანაა დასახული: მათ თავი უნდა დააღწიონ აუტსაიდერთა ჯგუფს. ეს მატჩი „მეშახტემ“ დიდი მონდომებით, ენერგიულად ჩაატარა, თუმცა, „ყარაბახის“ მოთამაშეები თავგამოდებით იბრძოდნენ და ცდილობდნენ არ მიეცათ მეტოქისათვის ბურთის გატანის საშუალება.**

**შეხვედრის ბედი 50-ე წუთზე გადაწყდა: მეშახტეებმა კარგად გაითამაშეს საჯარიმო, ზაალიშვილმა ზუსტი დარტყმით გაიტანა ბურთი მეტოქის კარში — 1:0.**

**ამის შემდეგ სტუმრებიც უტევდნენ, მძიმე სამუშაო დაწვა მათ მეკარე გამყრელიძეს, მაგრამ მასპინძლებმა ბოლომდე აქტიურად იბრძოლეს და გამარჯვებაც შეინარჩუნეს.**

ახალ წარმატებას მიაღწია ზონის ერთპიროვნულმა ლიდერმა სამტრედიის „ლოკომოტივმა“, რომელმაც მიიღო ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი —კიროვაბადის „ქიაფაზი“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0.

● ● ●

XIV ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „დილა“ (გორი) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 1:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) 2:0, „დინამო“ (სოხუმი) — „ვოსხოდი“ (სუმგაითი) 2:0, „ლორი“ (კიროვაკანი)—„გოიაზანი“ (ყაზახი) 3:0.

**II ლიგა, IX ზონა**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 20 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტ.“ | 14 | 10 | 4 | 0 | 24-5 | 24 |
| „დინამო“ | 14 | 6 | 5 | 3 | 24-15 | 17 |
| „კოლხეთი“ | 14 | 6 | 4 | 4 | 21-19 | 16 |
| „შევარ.“-სპი | 14 | 6 | 3 | 5 | 25-15 | 15 |
| „ქიაფაზი“ | 14 | 6 | 3 | 5 | 21-19 | 15 |
| „ვოსხოდი“ | 14 | 6 | 3 | 5 | 18-18 | 15 |
| „ოლიმპია“ | 14 | 7 | 0 | 7 | 15-22 | 14 |
| „ყარაბახი“ | 14 | 6 | 2 | 6 | 17-16 | 14 |
| „ავტომობ.“ | 14 | 6 | 1 | 7 | 17-17 | 13 |
| „დილა“ | 14 | 5 | 3 | 6 | 15-19 | 13 |
| „ლორი“ | 14 | 6 | 0 | 8 | 11-13 | 12 |
| „სპარტაკი“ | 14 | 5 | 2 | 7 | 16-21 | 12 |
| „გოიაზანი“ | 14 | 5 | 2 | 7 | 12-20 | 12 |
| „მეტალურ.“ | 14 | 5 | 1 | 8 | 13-16 | 11 |
| „მეშახტე“ | 14 | 4 | 3 | 7 | 11-19 | 11 |
| „კოლხოზჩი“ | 14 | 3 | 4 | 7 | 15-21 | 10 |

### საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

# ვინ იქნება ზედმეტი?

**კალათბურთელ** ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინიშზე მდგომარეობა სატურნირო ცხრილის ზედა ნახევარში შესამჩნევად დაიძაბა, მთავარ სუპერფინალში თამაშის უფლებისთვის სამი გუნდი — „სინათლე“, უნივერსიტეტი და ფიზკულტურის ინსტიტუტი იბრძვის. ერთი მათ შორის, ცხადია, ზედმეტია. ყველაფერი, როგორც ჩანს, ბოლო ტურში გაირკვევა, უფრო სწორად, „სინათლე“ — უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტ — სოხუმის კალათბურთელთა შეხვედრებში.

მანამდე კი... თბილისის სპორტის სასახლეში რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართა, რომელთაგან საერთო ყურადღების ცენტრში უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების შეხვედრა იყო. ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელთა უპირატესობა პირველ ტაიმში საგრძნობი ჩანდა — 20-წუთიანი ბრძოლა მათ 17 ქულით მოიგეს. მერე თამაში გათანაბრდა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვებას მაინც ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა მიაღწია — 103:101.

ლიდერთა ბრძოლას ბოლო ორ ტურში გამოეთიშნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები, რომლებმაც, რა დასამალია და, ჩემპიონატის პირველი ნახევარი გაცილებით უკეთ ჩაატარეს, ვიდრე მეორე. პოლიტექნიკოსები ფინიშზე ორჯერ დამარცხდნენ, ჯერ ფიზკულტურის ინსტიტუტთან — 91:109 (49:54), მერე „სინათლის“ კალათბურთელებთან — 91:105 (43:49).

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „სინათლე“ — სოხუმი 102:98 (47:50), უნივერსიტეტი — „მართვე“ 111:82 (52:42), „მართვე“ — სოხუმი 98:90 (52:43).

გთავაზობთ გათამაშების ცხრილს ბოლო, გადამწყვეტი დღის წინ:

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სინ.“ თბ. | 25 | 21 | 4 | 2311-2036 | 46 |
| უნივ. თბ. | 25 | 20 | 5 | 2470-2104 | 45 |
| ფიზ. ინ. თ. | 25 | 20 | 5 | 2207-1987 | 45 |
| სპი თბ. | 25 | 16 | 9 | 2180-2119 | 41 |
| „მარ.“ თბ. | 25 | 14 | 11 | 2163-2067 | 39 |
| სოხუმი | 25 | 11 | 14 | 2211-2224 | 36 |

**გუშინ...**

**თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ბოლო მატჩები: ფიზკულტურის ინსტიტუტი — სოხუმი 118:89, „მართვე“ — პოლიტექნიკური ინსტიტუტი 94:88, უნივერსიტეტი — „სინათლე“ 109:79.**

## ევროპის ჩემპიონატი

### II ჯგუფი

**ჟენევაში** შედგა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, შვეიცარიელმა ფეხბურთელებმა მიიღეს ჯგუფის ლიდერი შვეციის ნაკრები და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 1:1 (0:0).

პირველ წარმატებას ამ მატჩში მასპინძლებმა მიაღწიეს (ჰალტერი), საპასუხო გოლი გაიტანა ექსტრიომმა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეცია | 6 | 4 | 2 | 0 | 11-2 | 10 |
| იტალია | 5 | 4 | 0 | 1 | 11-3 | 8 |
| შვეიცარია | 5 | 1 | 2 | 2 | 8-8 | 4 |
| პორტუგალია | 4 | 0 | 3 | 1 | 4-5 | 3 |
| მალტა | 6 | 0 | 1 | 5 | 3-15 | 1 |

## საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ჭადრაკში

# ლიდერი პოზიციებს არ თმობს

**საქართველოს** მოჭადრაკე ვაჟთა 47-ე ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა და, ბუნებრივია, ბრძოლაც უფრო გამძაფრდა. შთამბეჭდავად თამაშობს ახალგაზრდა ოსტატი ლაშა ჯანჯღავა, რომელიც ჩემპიონატის დაწყებიდანვე სალიდერო პოზიციებს არ თმობს. X ტურში მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა კახა შალამბერიძესთან, რომელსაც შავებით ეთამაშებოდა. შალამბერიძემ დებიუტში მცირე პოზიციური უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ჯანჯღავამ მსუბუქი ფიგურები გაცვალა და პოზიცია გაამარტივა, მან პაიკი დათმო, თუმცა სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო. შალამბერიძემ ზედმეტი პაიკი შეინარჩუნა და უპირატესობას კვლავ დაეუფლა, მაგრამ რამდენიმე შეცდომა დაუშვა და როცა პოზიცია გათანაბრდა, მეტოქენი დაზავდნენ.

ზედიზედ მეორედ დამარცხდა საერთაშორისო ოსტატი ზურაბ სტურუა — ამჯერად თამაზ ტაბატაძესთან. თითქმის თანაბარ პოზიციაში, რომელშიც ჰოლანდიური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი გათამაშდა, სტურუამ ზედმეტად რისკიანად ითამაშა, პაიკი შესწირა მეტოქეს, მაგრამ ტაბატაძემ ტაქტიკური სვლით შეძლო პარტიის გამარჯვებამდე მიყვანა.

იგორ ეფიმოვისა და დიმიტრი გედევანიშვილის პარტიაში გათამაშდა ფრანგული დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი. გედევანიშვილმა პაიკი შესწირა, მაგრამ ეფიმოვმა ლაზიერები გაცვალა და პაიკი შეინარჩუნა. შემდეგ კი მეორე პაიკიც მოიგო და გაიმარჯვა.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: გიორგაძე-მანაგაძე — 1:0, ხეცურიანი-ბალათუროვი — 1:0, კრასენკოვი-ტყებუჩავა — 1:0, გაფრინდაშვილი-ჩაჩიბაია — 1:0.

გადადებული პარტიების დამთავრებისას გოჩა ტყებუჩავა და გია გიორგაძე თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ (IX ტური).

გაიმართა კახა შალამბერიძისა და თამაზ ტაბატაძის VIII ტურის გამოტოვებული პარტიაც, რომელშიც გაიმარჯვა ტაბატაძემ.

10 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ლაშა ჯანჯღავა (თბილისი) — 7,5 ქულა, მიხეილ კრასენკოვი (ბათუმი) — 7, გია გიორგაძე (თბილისი) — 6,5, ბესიკ ხეცურიანი (ქუთაისი), ზურაბ სტურუა, პაატა გაფრინდაშვილი (ორივე — თბილისი) — 6-6.

**ვასილ ვაშაკიძე,**
**ოსტატობის კანდიდატი.**

## გენადი ზაიჩიკის მონაწილეობით

მოსკოვში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა ორი საერთაშორისო ტურნირიდან ერთ-ერთი მე-12 კატეგორიისაა (მონაწილეთა საშუალო რეიტინგი — 2531) და მასში 12 საერთაშორისო დიდოსტატი და 2 საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობს. აქ დიდოსტატის ნორმაა 8 ქულა (13 შესაძლებლიდან). 5 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: ჯოელ ბენჯამინი (აშშ), სერგეი დოლმატოვი, ოლეგ რომანიშინი — 3,5-3,5, ვლადიმერ მალანიუკი, მიხეილ გურევიჩი (ყველა — სსრ კავშირი) —3-3.

მეორე ტურნირი, რომელშიც თბილისელი დიდოსტატი გენადი ზაიჩიკი გამოდის, მე-9 კატეგორიისაა (მონაწილეთა საშუალო რეიტინგი 2473). ამ შეჯიბრებაში ჩაება 4 საერთაშორისო დიდოსტატი, 7 საერთაშორისო ოსტატი და 4 ეროვნული ოსტატი. აქაც დაწესებულია დიდოსტატის ნორმა — 10 ქულა (14 შესაძლებლიდან), საერთაშორისო ოსტატის კი 7 ქულაა.

გენადი ზაიჩიკმა მოუგო საერთაშორისო ოსტატ თომას კა[...]პერს (გდრ), დაუზავდა საერთაშორისო ოსტატებს სერგეი არხიპოვს, ალექსანდრე ხალიფმანს და დიდოსტატ ევგენი სვეშნიკოვს (ყველა — სსრ კავშირი), დამარცხდა კუბელ დიდოსტატ სილვინო გარსიასთან. ამ ტურნირში 6 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ხალიფმანი, გრიგორი კაიდანოვი, ალექსეი ვიჟმანავინი — 4-4, ნაიჯელ დევისი (ინგლისი), ოვიდიუ ფოიშორი (რუმინეთი), ევგენი ბა[...]გუსოვი და სვეშნიკოვი — 3,5-3,5.

# ახალგაზრდებმა იმედი გაამართლეს

(დასასრული)

თავად დინამოელთა უფროსმა მწვრთნელმა ირაკლი ჩხიკვაძემ თავისი აღსაზრდელებიდან ვერავინ გამოჰყო. თქვა, რომ ეს იყო კოლექტიური თამაში, გამარჯვებაში ყველას ერთნაირი წვლილი მიუძღვის.

საინტერესოა, რომ ამ მატჩში თბილისელებმა ექვსიდან ხუთჯერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა, რაც ძალზე კარგი მაჩვენებელია. სტუმრებმა თერთმეტი ასეთი შემთხვევიდან ექვსჯერ მიაღწიეს მიზანს, სარბიელზე მეტოქეთა სრული შემადგენლობით თამაშისას კი მათ ერთხელაც ვერ შეძლეს მეტოქის კარის დალაშქვრა.

სევასტოპოლელთაგან ბურთები გაიტანეს: გუსევმა (2), კებალომ, ტიშჩენკომ, ვულფმა და ზაბროდკინმა.



თბილისელები უტევენ მოსკოვის ცსკ ვმფ-ის კარს.

# როცა მატჩი იწურებოდა...

**„დინამო“ (თბილისი) — ცსკ ვმფ (მოსკოვი) — 8:9 (1:3, 0:1, 4:2, 3:3).**

**დინამოელთა შემადგენლობა იხეთივე, იყო, როგორიც კჩფ-სთან შეხვედრაში.**

**ცსკ ვმფ-ს ღირსებას იცავდნენ: სერგეევი, ოგოროდნიკოვი, მაქსიმოვი, კოლოტოვი, გორშკოვი, მარკოჩი, სემიონოვი, ბოიკო, პავლოვი, ობოდკოვი, კლეიმენოვი, განიევი.**

ცსკ ვმფ საბჭოთა წყალბურთში ყველაზე ტიტულოვანი გუნდია და მას წარდგენა არ სჭირდება. მასთან შეხვედრებში თბილისელებს აშკარად უარყოფითი ბალანსი აქვთ. მიუხედავად ამისა, ჩვენი დინამოელები უკვე მრავალი წელია ცსკ ვმფ-ს ძალზე ძნელ მეტოქეებად ითვლებიან. მოსკოველები, როგორც წესი, ჩვენს ბიჭებს ამარცხებენ, მაგრამ ამარცხებენ მთელი ძალების მობილიზებით, მეტად დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში.

მოსკოვში, ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრის წინ, ცსკ ვმფ-ს წყალბურთელთა გუნდის კაპიტანმა სერგეი მარკოვიჩმა გვითხრა, რომ თქვენს ბიჭებს ჩვენთან შეხვედრებში რაღაც განსაკუთრებული განწყობილება აქვთ. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ თბილისელთა უპირველესი ამოცანა ჩვენი დამარცხებააო.

იმ დღეს თბილისელებმა, როგორც გახსოვთ, ცსკ ვმფ-ს წინააღმდეგ ბრწყინვალედ ითამაშეს და გაიმარჯვეს. მაშინ სპეციალისტებმა გაიხსენეს, რომ თბილისელებმა ამ გუნდს უკანასკნელად 25 წლის წინათ მოუგესო.

მართლაც, ცსკ ვმფ ის გუნდი არაა, რომ ძალზე იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვინმესთან ზედიზედ ორჯერ დამარცხდეს.

ამ გუნდების შეხვედრის პირველი ორი პერიოდი დინამოელებს კარგს არაფერს უქადდა. მასპინძლები 1:4 აგებდნენ. თუმცა არც პირველ და არც მეორე პერიოდში დინამოელებს ცდა და მონდომება არ დაუკლიათ. მათ მეტოქის კართან მრავალი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ ჩვენს ბიჭებს აშკარად ბედი არ წყალობდათ. შემდეგ მასპინძლებმა მდგომარეობა თანდათან გამოასწორეს და მეოთხე პერიოდში ანგარიშში თანაფარდობას (7:7) მიაღწიეს. არმიელებმა კიდევ შეძლეს ერთი ბურთით დაწინაურება, მაგრამ ქართველმა წყალბურთელებმა კვლავ აღადგინეს სტატუსკვო.

შეხვედრის მიწურულს სტუმრებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ. ისინი გამალებით უტევდნენ გიორგაძის კარს. მაგრამ დინამოელებმა ეს იერიში მოიგერიეს და ის იყო თავად უნდა წამოეწყოთ შეტევა, რომ სარბიელიდან გაძევებული ბითაძე წესის დარღვევით შემოვიდა სარბიელზე. მსაჯმა სამართლიანად დანიშნა პენალტი, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა. არადა, შეხვედრის დამთავრებამდე წამებიღა რჩებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მატჩში, ჩვენი აზრით, დამარცხებულებმა, თუ პირველ პერიოდს არ ჩავთვლით, უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს. ისინი განსაკუთრებით დაცვაში თამაშობდნენ კარგად მაშინ, როცა მეტოქეს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა. ამის საილუსტრაციოდ ისიც გამოდგება, რომ მეზღვაურებმა რვიდან მხოლოდ ერთხელ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა (მასპინძლებმა ცხრიდან — ხუთჯერ).

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: რამიშვილმა, კუტივაძემ (3-3), კოლუაშვილმა და ბალათურიამ; მოსკოველთაგან — მარკოჩმა, ობოტკოვმა (2-2), განიევმა, გორშკოვმა, სემიონოვმა, კოლოტოვმა და მაქსიმოვმა.

ხუთშაბათს დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — 8:8, „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) — კჩფ 4:4.

**ავთანდილ გურასაშვილი**

• • •

**გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ: კჩფ — ცსკ ვმფ (4:6), „ბალტიკა“ — „უნივერსიტეტი“ (7:11), „დინამო“ — „ლოკომოტივი“ (8:7).**

## პედაგოგთა პროფკავშირული

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა განათლების უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების პროფკავშირის აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების პედაგოგთა რესპუბლიკური კომიტეტის პირველობა. უფრო ადრე მსგავსი შეჯიბრება დასავლეთ რაიონების პედაგოგებმა გამართეს.

პირველობა საინტერესოდ ჩატარდა, შეჯიბრებაში მონაწილეობდა 2 ჯგუფად გაყოფილი 16 გუნდი. ქვეჯგუფებში გამარჯვებულებმა ოლიმპიური სისტემით განაგრძეს ბრძოლა. პირველი ექვსი ადგილი ასე განაწილდა: გურჯაანის რაიონის მოჭადრაკეთა გუნდი, ახმეტის, თბილისის პირველი მაისის, თბილისის 26 კომისრის, რუსთავის, თბილისის საქარხნო რაიონის გუნდები.

ფინალური მატჩი გაისად იანვარში გაიმართება.

**ხელბურთი**

## დაველოდოთ 3-5 ივლისს

**კიშინიოვში** დამთავრდა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი, მე-6 ტური (VII-XII ადგილებზე მყოფი გუნდებისათვის). თბილისის „ბურევესტნიკმა“ წააგო პირველი ორი შეხვედრა — სპორტკლუბ „ტირასპოლთან“ (17:22) და კიევის ასკ-თან (13:18), მესამე მატჩში კი ლენინგრადის „ნევასთან“ გაიმარჯვა (23:21). დარჩენილ ორ შეხვედრაში (კრასნოდარის სკიფ-თან და კაუნასის „გრანიტასთან“) ჩვენმა ხელბურთელებმა შესაბამისად მოიგეს და წააგეს. ამრიგად, ბურევესტნიკელებმა ადრე მოგროვებულ 14 ქულას („ტირასპოლს“ 11 ქულა ჰქონდა) კიდევ ოთხი დაუმატეს, 18 ქულა მოაგროვეს და XI ადგილზე გავიდნენ (XII ადგილზე ტირასპოლელები არიან — ისინი გამოეთხოვენ უმაღლეს ლიგას).

რაც შეეხება თბილისის „ბურევესტნიკს“, იგი ახლა მონაწილეობას მიიღებს ე. წ. ოთხთა გადასასვლელ მატჩ-ტურნირში, რომელიც 3-5 ივლისს გაიმართება ლენინგრადში. გარდა „ბურევესტნიკისა“, ტურნირში იასპარეზებენ ლენინგრადის ლვოვისა და კუნცევოს გუნდები. გაისად უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ ოთხთა ტურნირში პირველ და მეორე ადგილებზე გასული კოლექტივები.

## ცისფერ ეკრანზე...

**ცენტრალური ტელევიზია. 20 ივნისი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **10.00 (2)**; კინოჟურნალი „საბჭოთა სპორტი“ — **18.00 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 20 ივნისი.** მინი-კალათბურთის ფესტივალი თბილისში — **12.15**; სპორტული ფილმების ფესტივალი — **12.50**; სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — **21.25.**

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 20 ივნისი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „სულორი“ (ვანი).** დასაწყისი 18 საათზე.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**



**საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სახანძრო გამოყენებითი სპორტის ფედერაცია 23 ივნისიდან ქ. ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე აწყობს ჭაბუკთა შორის სახანძრო-გამოყენებით სპორტში საქართველოს XIX პირად-გუნდურ შეჯიბრებას.**

ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ: აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, აგრეთვე, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ჭიათურის, მახარაძის, სამტრედიის, ახალციხის, ზესტაფონის ნაკრები გუნდები.

პროგრამაშია: 100-მეტრიან დაბრკოლებათა გადალახვა, ამაწოდი რბენი 4X100 მ, საიერიშო კიბით II და III სართულის სასწავლო კოშკზე ასვლა, საბრძოლო გაშლა მ-300 მოტოპომპიდან წყლის მიწოდებით.

**საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება, საქართველოს სახანძრო-გამოყენებითი სპორტის ფედერაცია.**

# მოყვარულ რეგბისტთა მსოფლიოს თასზე

**ახალი** ზელანდიის ქალაქ როტორუაში გაიმართა მოყვარულ რეგბისტთა მსოფლიო თასის გათამაშების ბოლოსწინა მატჩი. უელსის ნაკრებმა დაამარცხა ავსტრალიის გუნდი 22:21 და მესამე ადგილი დაიკავა. ავსტრალიელები მეოთხე ადგილზე დარჩნენ.

ნახევარფინალურ მატჩში ახალზელანდიელებთან გამანადგურებელი ანგარიშით წაგების (6:49) შემდეგ უელსელთა მენეჯერმა ქლაივ როულენდსმა ძირითადი შემადგენლობის 6 მოთამაშე შეცვალა, რითაც გუნდის ყველა რეგბისტს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. შეხვედრის მე-5 წუთზე ფრანგმა არბიტრმა ავსტრალიელთა მესამე ხაზის მორკინალ ქოუდის მოედანი დაატოვებინა ზედახორის დროს მეტოქისათვის ფეხის ჩარტყმისათვის. ამის მიუხედავად, შვიდი ავსტრალიელი მთელი მატჩის მანძილზე მაინც ღირსეულად უმკლავდებოდა რვა უელსელ თავდამსხმელს. ავსტრალიელებმა ორი ლელო გაიტანეს (ბერქი, გრეი), ლაინაფმა ზუსტი დარტყმებით 13 ქულა მოაგროვა, რასაც უელსელებმა რობერტსისა და ფ. მორიართის ლელოები, სორბერნის ორი საჯარიმო და რეალიზაცია დაუპირისპირეს. მატჩის დამთავრებამდე არაფერი რჩებოდა, ავსტრალიელები იგებდნენ — 21:16, მაგრამ უელსელმა ჰედლიმ გადამწყვეტი ლელო გაიტანა, სორბერნმა რეალიზაციაც შეაგდო და მატჩი ბრიტანელებმა მოიგეს.

ფინალურ მატჩში, რომელიც დღეს გაიმართება ოკლენდის „იდენ ფარქზე“, ითამაშებენ ახალი ზელანდიისა და საფრანგეთის გუნდები. შარშან მეტოქეები სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს: ქრაისთჩერჩსა და ტულუზაში გაიმარჯვეს ახალზელანდიელებმა (შესაბამისად 18:9 და 19:7), ნანტში — ფრანგებმა (16:3).

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-56,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-20, „მარიფი“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 68485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაული, 20.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 10670